51.	აღმოსავლეთის ბიოტა Platycladus orientalis	ხე	38 □0482944 U□□4617247 □- 404	100	22.0	9.0	ხმობადი
52.	აღმოსავლეთის ბიოტა Platycladusorientalis	ხე	38 □0482944 U□□4617247 □- 404	75	22.0	14.0	ხმობადი
53.	აღმოსავლეთის ბიოტა Platycladusorientalis	ხე	38 □0482943 U□□4617246 □- 404	102	26.0	10.0	ხმობადი
54.	მარადმწვანეკვიპაროსი Cupressussempervirens	ხე	-	-	43.0	17.0	საშუალო მდგომარეობა
55.	აღმოსავლეთის ბიოტა Platycladusorientalis	ხე	38 □0482945 U□□4617254 □- 403	90	23.0	9.0	ხმობადი
56.	თუთა -- Morus alba	ხე	-	-	46.0	12.0	გადაბერებული ეგზ.

თანდართული დოკუმენტაცია
საქართველოს ბოტანიკური ბაღის საექსპერტო დასკვნა

57.	აღმოსავლეთის ბიოტა Platycladusorientalis	ხე	38 □0482946 U□□4617255 □- 403	104	36.0	12.0	ხმობადი
58.	აღმოსავლეთის ბიოტა Platycladusorientalis	ხე	38 □0482946 U□□4617255 □- 403	105	37.0	12.0	ხმობადი
59.	მარადმწვანე კვიპაროსი Cupressussempervirens (ორღეროიანი)	ხე	-	-	20.0	10.0	სადი
60.	მარადმწვანეკვიპაროსი Cupressussempervirens	ხე	-	-	25.0	14.0	სადი
61.	მარადმწვანეკვიპაროსი Cupressussempervirens	ხე	-	-	34.0	15.0	სადი
62.	მარადმწვანე კვიპაროსი - Cupressus sempervirens	ხე	-	-	30.0	18.0	ხმობადი
63.	მარადმწვანეკვიპაროსი Cupressussempervirens	ხე	-	-	52.0	16.0	სადი
64.	აღმოსავლეთის ბიოტა Platycladusorientalis	ხე	38 □0482959 U□□4617235 □- 404	110	30.0	12.0	საშუალომდგომარეობა
65.	აღმოსავლეთის ბიოტა Platycladusorientalis	ხე	38 □0482958 U□□4617234 □- 404	95	23.0	9.0	ხმობადი
66.	აღმოსავლეთის ბიოტა Platycladusorientalis	ხე	38 □0482957 U□□4617233 □- 404	95	30.0	10.0	ხმობადი
67.	აღმოსავლეთის ბიოტა Platycladusorientalis	ხე	38 □0482957 U□□4617233 □- 404	105	27.0	9.0	ღერო დაზიანებული
68.	აღმოსავლეთის ბიოტა Platycladusorientalis	ხე	38 □0482956 U□□4617232 □- 404	93	20.0	7.0	ღერო დაზიანებული
69.	აღმოსავლეთის ბიოტა Platycladusorientalis	ხე	38 □0482956 U□□4617232 □- 404	105	27.0	10.0	ღერო დაზიანებული
70.	აღმოსავლეთის ბიოტა Platycladus orientalis	ხე	38 □0482956 U□□4617232 □- 404	110	37.0	9.0	ღერო დაზიანებული
71.	მარადმწვანეკვიპაროსი Cupressussempervirens	ხე			37.0	18.0	სადი
72.	აღმოსავლეთის ბიოტა Platycladus orientalis	ხე	38 □0482955 U□□4617230 □- 405	110	32.0	10.0	ხმობად
73.	მარადმწვანეკვიპაროსი Cupressussempervirens	ხე	-	-	62.0	18.0	სადი
74.	აღმოსავლეთის ბიოტა Platycladusorientalis	ხე	38 □0482968 U□□4617250 □- 401	110	31.0	12.0	საშუალო მდგომარეობა
75.	აღმოსავლეთის ბიოტა Platycladus orientalis	ხე	38 □0482954 U□□4617229 □– 405	110	32.0	9.0	ხმობადი
82.	მარადმწვანეკვიპაროსი Cupressussempervirens	ხე	-	-	51.0	21.0	ღეროზე მრავალი ფულურ
83.	მარადმწვანეკვიპაროსი Cupressussempervirens	ხე	-	-	45.0	24.0	ღეროზე მრავალი ფულურ
84.	აღმოსავლეთის ბიოტა Platycladusorientalis	ხე	38 □0482967 U□□4617249 □– 402	110	29.0	12.0	ღერო დაზიანებული
85.	მარადმწვანე კვიპაროსი Cupressussempervirens	ხე	-	-	54.0	26.0	სადი
86.	აღმოსავლეთის ბიოტა usorientalis	ხე	38 □0482966 U□□4617249 □– 401	90	22.0	10.0	ღეროზე გრძელი ფულურო
87.	აღმოსავლეთის ბიოტა Platycladusorientalis	ხე	38 □0482954 U□□4617229 □– 405	110	37.0	9.0	ხმობადი
88.	მარადმწვანეკვიპაროსი Cupressussempervirens	ხე	-	-	51.0	21.0	ღეროზე მრავალი ფულურ
90.	მარადმწვანე კვიპაროსი Cupressussempervirens	ხე	-	-	54.0	26.0	სადი
91.	მარადმწვანე კვიპაროსი Cupressussempervirens	ხე	-	-	25.0	14.0	სადი
92.	მარადმწვანე კვიპაროსი Cupressussempervirens	ხე	-	-	25.0	14.0	სადი
93.	მარადმწვანე კვიპაროსი Cupressussempervirens	ხე	-	-	24.0	9.0	საშუალო მდგომარეობა
94.	მარადმწვანე კვიპაროსი Cupressussempervirens	ხე	-	-	27.0	12.0	სადი
95.	აღმოსავლეთის ბიოტა Platycladusorientalis	ხე	38 □0482948 U□□4617252 □– 404	110	35.0	12.0	ხმობადი
97.	აღმოსავლეთის ბიოტა Platycladusorientalis	ხე	38 □0482951 U□□4617257 □– 404	110	41.0	14.0	ხმობადი
98.	პირამიდული მარადმწვანე კვიპაროსი - Cupressus sempervirens f.pyramidalis	ხე	-	-	30.0	15.0	სადი
101.	მარადმწვანე კვიპაროსი - Cupressus sempervirens	ხე	-	-	48.0	20.0	სადი
102.	მარადმწვანე კვიპაროსი - Cupressus sempervirens	ხე	-	-	24.0	13.0	სადი
103.	პირამიდული მარადმწვანე კვიპაროსი - Cupressus sempervirens f.pyramidalis	ხე	-	-	25.0	18.0	სადი
104.	მარადმწვანე კვიპაროსი - Cupressus sempervirens	ხე	-	-	40.0	17.0	სადი
105.	პირამიდული მარადმწვანე კვიპაროსი - Cupressus sempervirens f.pyramidalis	ხე	-	-	41.0	22.0	სადი
108.	ჭერამი –pyArmeniaca vulgaris	ხე	-	-	20.0	5.0	სადი
109.	პირამიდული მარადმწვანე კვიპაროსი - Cupressus sempervirens f.pyramidalis	ხე	-	-	41.0	21.0	სადი
110	პირამიდული მარადმწვანე კვიპაროსი - Cupressus sempervirens f.pyramidalis	ხე	-	-	31.0	18.0	სადი
111.	აღმოსავლეთის ბიოტა Platycladus orientalis	ხე	38 □0482959 U□□4617247 □- 403	110	30.0	11.0	ხმობადი, ღერო დაზიანებული
112.	მარადმწვანე კვიპაროსი - Cupressus sempervirens	ხე	-	-	48.0	21.0	სადი
113.	აღმოსავლეთის ბიოტა Platycladus orientalis	ხე	38 T 0482961 UTM4617252 H- 401	110	26.0	11.0	ხმობადი, ღერო გახეთქილი, ფულურო
114.	აღმოსავლეთის ბიოტა Platycladus orientalis	ხე	38 □0482974 U□□4617244 □- 404	110	33.0	13.0	ხმობადი, ღერო დაზიანებული
115.	აღმოსავლეთის ბიოტა Platycladus orientalis	ხე	38 T 0482978 UTM4617241 H- 404	95	21.0	12.0	ხმობადი, გადახრილი
116.	აღმოსავლეთის ბიოტა Platycladus orientalis	ხე	38 □0482964 U□□4617255 □- 402	110	28.0	9.0	ხმობადი, ღერო დაზიანებული
117.	მარადმწვანე კვიპაროსი - Cupressus sempervirens	ხე	-	-	40.0	22.0	სადი
118.	მარადმწვანე კვიპაროსი - Cupressus sempervirens	ხე	-	-	37.0	18.0	სადი

თანდართული დოკუმენტაცია
საქართველოს ბოტანიკური ბაღის საექსპერტო დასკვნა

120.	აღმოსავლეთის ბიოტა Platycladus orientalis	ხე	38 T 0482956 UTM4617263 H- 401	110	31.0	9.0	დაზიანებული, გრძივი ღია ფულურო
121.	მარადმწვანე კვიპაროსი - Cupressus sempervirens	ხე	-	-	59.0	13.0	დაზიანებული, გადახრილი შეზრდილია შენობაში
122.	მარადმწვანე კვიპაროსი - Cupressus sempervirens	ხე	-	-	27.0	12.0	საღი
123.	აღმოსავლეთის ბიოტა Platycladus orientalis	ხე	38 T 0482962 UTM4617259 H- 402	110	30,0	8.0	ღეროს კანი გახეთქილი
124.	მარადმწვანე კვიპაროსი - Cupressus sempervirens	ხე	-	-	32.0	14.0	ხმელი
125.	მარადმწვანე კვიპაროსი - Cupressus sempervirens	ხე	-	-	27.0	14.0	საღი
132.	ხვალო –Populus alba	ხე	-	-	21.0	5.0	საღი
133.	ამერ.ნეკერჩხალი - Acer negundo	ხე	-	-	11.0	4.0	სარი
134	თუთა –Morus alba	ხე	-	-	57.0	17.0	გადაბერებული ფულუროიანი ეგზ.
138.	ნეკერჩხალი - Acer platanoides	ხე	-	-	12.0	7.0	საღი
139.	თუთა - Morus alba	ხე	-	-	57.0	12.0	გადაბერებული ფულუროიანი ეგზ.
140.	აღმოსავლეთის ბიოტა Platycladus orientalis	ხე	38 T 0482973 UTM4617247 H- 404	95	27.0	9.0	ხმობადი, გადახრილი
141	აღმოსავლეთის ბიოტა Platycladus orientalis	ხე	38 T 0482974 UTM4617249 H- 404	110	27.0	10.0	ხმობადი, გადახრილი, ფულუროიანი
142.	აღმოსავლეთის ბიოტა Platycladus orientalis	ხე	38 T 0482973 UTM4617251 H- 403	108	28.0	9.0	ხმობადი, გადახრილი, ფულუროიანი
143.	აღმოსავლეთის ბიოტა Platycladus orientalis	ხე	38 T 0482972 UTM4617240 H-403	105	27.0	10.0	ხმობადი, გადახრილი, ფულუროიანი
144.	აღმოსავლეთის ბიოტა Platycladus orientalis	ხე	38 T 0482971 UTM4617250 H- 403	90	23.0	8.0	ღერო დაზიანებული
145.	აღმოსავლეთის ბიოტა Platycladus orientalis	ხე	38 T 0482981 UTM4617248 H-406	110	37.0	10.0	ღერო საკმაოდ დაზიანებული
146.	აღმოსავლეთის ბიოტა Platycladus orientalis	ხე	38 T 0482974 UTM4617249 H- 404	110	23.0	7.0	ხმობადი, გადახრილი, ფულუროიანი
147.	აღმოსავლეთის ბიოტა Platycladus orientalis	ხე	38 T 0482973 UTM4617241 H-404	110	29.0	10.0	ხმელი
148.	აღმოსავლეთის ბიოტა Platycladus orientalis	ხე	38 T 0482974 UTM4617245 H-407	110	31.0	13.0	ხმობადი, ღერო დაზიანებული
149.	მარადმწვანე კვიპაროსი - Cupressus sempervirens	ხე	-	-	23.0	9.0	ხმობადი
150	მარადმწვანე კვიპაროსი - Cupressus sempervirens	ხე	-	-	41.0	11.0	საღი
151.	მარადმწვანე კვიპაროსი - Cupressus sempervirens	ხე	-	-	27.0	10.0	ღეროზე ღია ფულუროებია
152.	პირამიდული მარადმწვანე კვიპაროსი - Cupressus sempervirens f.pyramidalis	ხე	-	-	37.0	13.0	საღი
153.	პირამიდული მარადმწვანე კვიპაროსი - Cupressus sempervirens f.pyramidalis	ხე	-	-	35.0	12.0	საღი
154.	თუთა –Morus alba	ხე	-	-	13.0	5.0	საღი
155.	თუთა –Morus alba	ხე	-	-	12.0	6.0	საღი
157.	მარადმწვანე კვიპაროსი - Cupressus sempervirens	ხე	-	-	37.0	15.0	ქვედა ტოტები ხმელია
158.	მარადმწვანე კვიპაროსი - Cupressus sempervirens	ხე	-	-	27.0	14.0	საღი
159.	მარადმწვანე კვიპაროსი - Cupressus sempervirens	ხე	-	-	31.0	16.0	ღერო დაზიანებული, ხმელი ტოტები
161.	მარადმწვანე კვიპაროსი - Cupressus sempervirens	ხე	-	-	33.0	19.0	სარი
160	მარადმწვანე კვიპაროსი Cupressus sempervirens	ხე	-	-	26.0	17.0	ხმობადი
162.	მარადმწვანე კვიპაროსი - Cupressus sempervirens	ხე	-	-	30.0	18.0	ხმობადი
163.	აღმოსავლეთის ბიოტა - Platycladus orientalis	ხე	38 T 0482974 UTM4617246 H- 402	100	27.0	14.0	ხმელი
164.	მარადმწვანე კვიპაროსი - Cupressus sempervirens	ხე	-	-	34.0	20.0	ღერო დაზიანებულია
165	მარადმწვანე კვიპაროსი – Cupressus sempervirens	ხე	-	-	31.0	18.0	საკმაოდ დაზიანებული
166.	მარადმწვანე კვიპაროსი - Cupressu Cupressus sempervirens	ხე	-	-	17.0	160	საღი
167.	აღმოსავლეთის ბიოტა - lus orientalis	ხე	38 T 0482975 UTM4617221 H- 406	90	23.0	15.0	ხმობადი, ღერო დაზიანებული
168.	აღმოსავლეთის ბიოტა - Platycladus orientalis	ხე	38 T 0482975 UTM4617220 H- 403	110	28.0	17.0	ხმობადი, ღერო დაზიანებული
169.	აღმოსავლეთის ბიოტა - Platycladus orientalis	ხე	38 T 0482980 UTM4617220 H- 405	90	23.0	16.0	ხმობადი, ღერო დაზიანებული
170.	აღმოსავლეთის ბიოტა - Platycladus orientalis	ხე	38 T 0482974 UTM4617249 H- 404	100	27.0	16.0	ხმობადი, ღერო დაზიანებული
171.	პირამიდული მარადმწვანე კვიპაროსი - Cupressus sempervirens f.pyramidalis	ხე	-	-	40.0	21.0	საღი
172.	პირამიდული მარადმწვანე კვიპაროსი - Cupressus sempervirens f.pyramidalis (3 ღერო)	ხე	-	-	48.0	21.0	დაზიანებული ღერო
173.	მარადმწვანე კვიპაროსი - Cupressus sempervirens	ხე	-	-	17.0	160	საღი
174.	მარადმწვანე კვიპაროსი - s sempervirens	ხე	-	-	27.0	14.0	საღი
175.	მარადმწვანე კვიპაროსი - Cupressus sempervirens	ხე	-	-	33.0	16.0	საღი
176.	პირამიდული მარადმწვანე კვიპაროსი - Cupressus rens f.pyramidalis	ხე	-	-	49.0	28.0	ღეროზე ფულუროებია
177.	აღმოსავლეთის ბიოტა Platycladus orientalis	ხე	38 T 0482973 UTM4617214 H- 408	110	32.0	12.0	ხმობადი, ღერო დაზიანებული
178.	პირამიდული მარადმწვანე კვიპაროსი - Cupressus rens f.pyramidalis	ხე	-	-	57.0	24.0	ღერო დაზიანებულია, ფულურო

თანდართული დოკუმენტაცია
საქართველოს ბოტანიკური ბაღის საექსპერტო დასკვნა

179.	აღმოსავლეთის ბიოტა Platycladus orientalis	ხე	38 T 0482970 UTM4617215 H- 409	95	25.0	10.0	ღერო დაზიანებული
180.	აღმოსავლეთის ბიოტა Platycladus orientalis	ხე	38 T 0482967 UTM4617217 H- 408	100	24.0	13.0	ხმობადი, ღერო დაზიანებული
181.	აღმოსავლეთის ბიოტა Platycladus orientalis	ხე	38 T 0482998 UTM4617220 H- 406	105	28.0	13.0	საშუალო მდგომარეობა
182.	მარადმწვანე კვიპაროსი - Cupressus sempervirens	ხე	-	-	27.0	14.0	საშუალო მდგომარეობა
183.	აღმოსავლეთის ბიოტა Platycladus orientalis	ხე	38 T 0482968 UTM4617222 H- 410	115	34.0	14.0	საშუალო მდგომარეობა
184.	მარადმწვანე კვიპაროსი - Cupressus sempervirens	ხე	-	-	42.0	21.0	სარი
185	მარადმწვანე კვიპაროსი - Cupressus sempervirens	ხე	-	-	17.0	16.0	საღი
186.	მარადმწვანე კვიპაროსი - Cupressus sempervirens	ხე	-	-	21.0	18.0	საღი
187.	პირამიდული მარადმწვანე კვიპაროსი - Cupressus sempervirens f.pyramidalis	ხე	-	-	34.0	21.0	საღი
188.	მარადმწვანე კვიპაროსი - Cupressus sempervirens	ხე	-	-	16.0	9.0	ხმელი
189.	პირამიდული მარადმწვანე კვიპაროსი - Cupressus sempervirens f.pyramidalis	ხე	-	-	40.0	22.0	საღი
190.	პირამიდული მარადმწვანე კვიპაროსი - Cupressus sempervirens f.pyramidalis	ხე	-	-	23.0	13.0	ვარჯი ცალმხრივ განვითარებულია
194.	პირამიდული მარადმწვანე კვიპაროსი - Cupressus sempervirens f.pyramidalis	ხე	-	-	46.0	23.0	ღერო დაზიანებული
195.	პირამიდული მარადმწვანე კვიპაროსი - Cupressus sempervirens f.pyramidalis	ხე	-	-	35.0	21.0	ქვედა ტოტები ხმელია, ღერო დაზიანებული
196.	პირამიდული მარადმწვანე კვიპაროსი - Cupressus sempervirens f.pyramidalis	ხე	-	-	45.0	24.0	საღი
197.	პირამიდული მარადმწვანე კვიპაროსი - Cupressus sempervirens f.pyramidalis	ხე	-	-	44.0	23.0	საღი
198.	პირამიდული მარადმწვანე კვიპაროსი - Cupressus sempervirens f.pyramidalis	ხე	-	-	30.0	19.0	საღი
199.	თუთა - Morus alba	ხე	-	-	23.0	5.0	გადაჭრილია 0.8 მ, ახალი ვარჯი ფორმირდება
200.	პირამიდული მარადმწვანე კვიპაროსი - Cupressus sempervirens f.pyramidalis	ხე	-	-	49.0	24.0	ქვედა ტოტები ხმელია
203.	პირამიდული მარადმწვანე კვიპაროსი - Cupressus sempervirens f.pyramidalis	ხე	-	-	40.0	22.0	საღი
204.	თუთა – Morus alba	ხე	-	-	48.0	16.0	საღი
205.	აღმოსავლეთის ბიოტა Platycladus orientalis	ხე	38 T 0482945 UTM4617213 H- 408	90	22.0	14.0	ღერო დაზიანებული
206.	პირამიდული მარადმწვანე კვიპაროსი - Cupressus sempervirens f.pyramidalis	ხე	-	-	42.0	26.0	საღი
207.	პირამიდული მარადმწვანე კვიპაროსი - Cupressus rens f.pyramidalis	ხე	-	-	34.0	24.0	საღი
208.	მარადმწვანე კვიპაროსი - Cupressus sempervirens	ხე	-	-	30.0	16.0	საღი
209.	მარადმწვანე კვიპაროსი - Cupressus sempervirens	ხე	-	-	48.0	26.0	ღერო ფულუროიანი
210.	თუთა – Morus alba	ხე	-	-	39.0	18.0	საღი
211.	აღმოსავლეთის ბიოტა Platycladus orientalis	ხე	38 T 0482944 UTM4617213 H- 399	95	24.0	17.0	ხმობადი, ღერო დაზიანებული
212.	მარადმწვანე კვიპაროსი - Cupressus sempervirens	ხე	-	-	45.0	24.0	ხმელი
213.	მარადმწვანე კვიპაროსი - Cupressus sempervirens	ხე	-	-	26.0	16.0	ღერო დაზიანებული
214.	მარადმწვანე კვიპაროსი - Cupressus sempervirens	ხე	-	-	38.0	21.0	საღი
215.	მარადმწვანე კვიპაროსი - Cupressus sempervirens	ხე	-	-	33.0	20.0	საღი
216.	მარადმწვანე კვიპაროსი - Cupressus sempervirens	ხე	-	-	48.0	26.0	ღერო ფულუროიანი
217.	მარადმწვანე კვიპაროსი - Cupressus sempervirens	ხე	-	-	37.0	10.0	ხმელი
218.	მარადმწვანე კვიპაროსი - Cupressus sempervirens	ხე	-	-	23.0	12.0	ხმელი
219.	მარადმწვანე კვიპაროსი - Cupressus sempervirens	ხე	-	-	48.0	14.0	ხმელი
220.	მარადმწვანე კვიპაროსი - Cupressus sempervirens	ხე	-	-	21.0	11.0	ხმობადი
221.	მარადმწვანე კვიპაროსი - Cupressus sempervirens	ხე	-	-	16.0	8.0	ხმობადი, ღერო დაზიანებული
222.	მარადმწვანე კვიპაროსი - Cupressus sempervirens	ხე	-	-	14.0	7.0	ხმელი
223.	მარადმწვანე კვიპაროსი - Cupressus sempervirens	ხე	-	-	18.0	10.0	ხმელი
224.	მარადმწვანე კვიპაროსი - Cupressus sempervirens	ხე	-	-	24.0	14.0	ხმელი
225.	მარადმწვანე კვიპაროსი - Cupressus sempervirens	ხე	-	-	27.0	13.0	ხმელი
226.	მარადმწვანე კვიპაროსი - Cupressus sempervirens	ხე	-	-	30.0	16.0	ცალმხრივ განვითარებული ვარჯი
227.	მარადმწვანე კვიპაროსი - Cupressus sempervirens	ხე	-	-	41.0	14.0	ხმობადი
228.	მარადმწვანე კვიპაროსი - Cupressus sempervirens	ხე	-	-	14.0	7.0	საღი
229.	თუთა – Morus alba	ხე	-	-	48.0	6.0	გადაბელილია 4.0 მ სიმაღლეზე
230.	მარადმწვანე კვიპაროსი - Cupressus sempervirens	ხე	-	-	34.0	12.0	ხმელი
231.	მარადმწვანე კვიპაროსი - Cupressus sempervirens	ხე	-	-	14.0	5.0	საღი
232.	თუთა – Morus alba	ხე	-	-	51.0	15.0	გადაბერებული
233.	კავკასიური ცაცხვი –Tilia begoniifolia	ხე	-	-	33.0	14.0	საღი
235.	პირამიდული მარადმწვანე კვიპაროსი - Cupressus sempervirens f.pyramidalis	ხე	-	-	29.0	13.0	ღერო დაზიანებული, ფულუროიანი
236.	პირამიდული მარადმწვანე კვიპაროსი - Cupressus sempervirens f.pyramidalis	ხე	-	-	29.0	21.0	ღერო დაზიანებული, ფულუროიანი
237.	მარადმწვანე კვიპაროსი - Cupressus sempervirens	ხე	-	-	26.0	10.0	წვერგადატეხილი

თანდართული დოკუმენტაცია
საქართველოს ბოტანიკური ბაღის საექსპერტო დასკვნა

238.	მარადმწვანე კვიპაროსი - Cupressus sempervirens	ხე	-	-	32.0	14.0	ვარჯის ქვედა ტოტები ხმელია
239.	მარადმწვანე კვიპაროსი - Cupressus sempervirens	ხე	-	-	31.0	14.0	ღერო დაზიანებული, ფუღუროიანი
240.	პირამიდული მარადმწვანე კვიპაროსი - Cupressus sempervirens f.pyramidalis	ხე	-	-	46.0	21.0	ღერო დაზიანებული, ფუღუროიანი
241.	მარადმწვანე კვიპაროსი - Cupressus sempervirens	ხე	-	-	26.0	13.0	ვარჯში ხმელი ტოტები
242.	მარადმწვანე კვიპაროსი - Cupressus sempervirens	ხე			38.0	21.0	ღერო დაზიანებული, ფუღუროიანი
246.	პირამიდული მარადმწვანე კვიპაროსი - Cupressus sempervirens f.pyramidalis	ხე	-	-	36.0	14.0	ღერო დაზიანებული, ფუღუროიანი

საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის
მერქნიან მცენარეთა ინტროდუქციის განყოფილების
გამგე, მთავარი მეცნიერ თანამშრომელი,
ბიოლოგიის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი — სვეტლანა ხმალაძე

საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის
მთავარი მეცნიერ თანამშრომელი,
სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი — ჯუმბერ ლომიძე

საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის
მცენარეთა და ნიადაგის დაცვის განყოფილების უფროსი,
ბიოლოგიის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი — ქეთევან თავართქილაძე

თანდართული დოკუმენტაცია
ეკოლოგიის და გამწვანების სამსახურის თანხმობა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
ეკოლოგიისა და
გამწვანების საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **18-01171172786**
გაცემის თარიღი: **27.04.2017**

განმცხადებელი (დაინტერესებული) პირი
შპს პაშა დეველოპმენტ ჯორჯია
საიდენტიფიკაციო ნომერი: 402013628
მისამართი: ძევერის ქ. #20

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურმა შეისწავლა თქვენს მიერ წარმოდგენილი 2017 წლის 24 აპრილის #10/01171141543-18 წერილი და დოკუმენტები, რომლითაც ითხოვთ შპს ..პაშა დეველოპმენტ ჯორჯია"ს კუთვნილ ტერიტორიაზე საინვესტიციო პაკეტით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოების განხორციელების მიზნით მწვანე ნარგავების მოჭრის ნებართვას.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-9 მუხლის თანახმად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახური გაცნობებთ, რომ ქ. თბილისში, დ. აბაშიძის ქ. #17-ში და #17/4-ში (საკ/კოდ 01.16.05.001.006; 01.16.05.001.017) თქვენს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე, სათანადო წესით გაცემული მშენებლობის ნებართვის/წერილობითი თანხმობის წარმოდგენის შემთხვევაში, გასცემს ააიპ ,,საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღი"ს საექსპერტო დასკვნის შესაბამისად მიწის ნაკვეთზე, საპროექტო ტერიტორიაზე არსებული 16 (თექვსმეტი) ძირი მარადმწვანე კვიპაროსის (#1-35სმ, #2-48სმ, #4-76სმ, #5-51სმ, #6-57სმ; #7-61სმ, #9-61სმ, #15-27სმ, #25-29სმ, #26-46სმ, #27-40სმ, #29-42სმ, #30-40სმ, #31-39სმ, #32-42სმ, #44-38სმ), 3 (სამი) ძირი თუთის (#10-96სმ, #21-89სმ, #22-19სმ), 2 (ორი) ძირი ცაცხვის (#13-35სმ, #14-38სმ) და 1 (ერთი) ძირი აკაციის (#23-20სმ) მოჭრის ნებართვას ,,ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 თავის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად.

დამატებით გაცნობებთ, რომ ,,ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 თავის მე-6 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, მწვანე ნარგავის ჭრის ნებართვის მისაღებად დაგეკისრებათ ბიომრავალფეროვნებაზე მიყენებული ზიანის საკომპენსაციო აღდგენითი ღირებულების გადასახადი.

3 (სამი) ძირი ხმობადი, დაავადებული კვიპაროსი დიამეტრებით #3-73სმ, #28-29სმ, #216-48სმ (აღნიშნული მწვანე ნარგავები აღარ ექვემდებარება განკურნებას) შესაძლებელია მოიჭრას ამავე კანონის მე-2 თავის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის ..ა'' ქვეპუნქტის თანახმად აღდგენითი ღირებულების გადახდის შემდეგ, რომელიც შეადგენს 3420 (სამიათასოთხასოცი) ლარს. მესაკუთრე ვალდებულია გადაიხადოს აღდგენითი ღირებულება და ქ. თბილისის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურში წარმოადგინოს გადახდის ქვითარი (საბიუჯეტო შემოსავლების სახაზინო კოდი-#300773292 ბანკის კოდი-TRESGE22), რომლის შემდგომაც გაიცემა მოჭრის შესაბამისი ნებართვა.

ხილ-კენკროვანი მცენარეების მოჭრა (#8 ჭერამი) კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემულ წერილობით ნებართვას არ საჭიროებს.

ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო
სამსახური - სამსახურის უფროსი — გიორგი წერეთელი

საქართველო, თბილისი, 0160, ჟ. შარტავას ქ. N7, (+995 32) 237 82 09

თანდართული დოკუმენტაცია.
ისტორიულ-არქიტექტურული ნაწილი.

საექსპერტო დასკვნა

ქ.თბილისი, აბაშიძის ქ№ 17/4 ს/კ 01.16.05.001.017

საექსპერტო დასკვნა ეფუძნება 10 სმ დიამეტრის ზემოთ არსებულ ხემცენარეებს. დათვალიერების შედეგად დადგინდა მცენარეების სახეობა,ხნოვანება (მხოლოდ საქ. წითელი წიგნის სახეობების), მათი ბიომეტრული მონაცემები და დღევანდელი მდგომარეობა (იხ. ცხრილი).

მცენა-რის № ტოპო-რუკაზე	სახეობა	სასიც. ფორმა	GPS	ხნოვა-ნება	D, სმ	H, მ	მდგომარეობა
1.	2	3	4	5	6	7	8
1.	მარადმწვანე კვიპაროსი - Cupressus sempervirens	ხე	-	-	35.0	12.0	ღეროზე ფისოვანი გამონადენი
2.	მარადმწვანე კვიპაროსი - Cupressus sempervirens	ხე	-	-	48.0	11.0	ღერო დაზიანებული, ფულუროიანი
3.	მარადმწვანე კვიპაროსი - Cupressus sempervirens	ხე	-	-	73.0	21.0	ხმობადი, ფულუროიანი
4.	მარადმწვანე კვიპაროსი - Cupressus sempervirens	ხე	-	-	76.0	24.0	ღერო დაზიანებული
5.	პირამიდული მარადმწვანე კვიპაროსი - Cupressus sempervirens f.pyramidalis	ხე	-	-	51.0	18.0	ღერო დაზიანებული
6.	მარადმწვანე კვიპაროსი - Cupressus sempervirens	ხე	-	-	57.0	19.0	ღერო დაზიანებული ფულუროიანი
7.	მარადმწვანე კვიპაროსი - Cupressus sempervirens	ხე	-	-	61.0	22.0	ღერო დაზიანებული
8.	ჭერამი –Prunus armeniaca	ხე			35.0	14.0	საღი, გადახრილია მეზობლის ეზოში
9.	მარადმწვანე კვიპაროსი - Cupressus sempervirens	ხე	-	-	61.0	28.0	საღი

ხედი მთაწმინდიდან, 2014წ

შემსრულებელი
ხელოვნებათმცოდნე – გია ჭანიშვილი

შ პ ს
„ძველი უბანი“
ივნისი
2016წ.

1. ადგილმდებარეობა

საკვლევი ტერიტორია მდებარეობს თბილისის ისტორიულ ნაწილში, მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, დ. აბაშიძის ქუჩისა და სანაპიროს კუთხეში – **დ. აბაშიძის ქუჩა №17**. იგი წარმოადგენს საკმაოდ დიდ გამწვანებულ მიწის ნაკვეთს რომელზეც განთავსებული იყო ფსიქიატრიული საავადმყოფოს რამდენიმე სხვადასხვა ზომის ნაგებობა. **საპროექტო წინადადებით განსაზღვრულია სასტუმროსა და ბანკის ოფისის მშენებლობა.**



თბილისის არქიტექტურული ძეგლების რუკა (ფრაგმენტი)

პირობითი აღნიშვნები

- ეროვნული მნიშვნელობის ძეგლი (სარეკომენდაციო)
- ძეგლი
- ფონური
- რიგითი
- შეუსაბამო

საპროექტო ტერიტორიაზე ნაგებობ უმრავლესობა ადარ დგას, ერთ-ერთი მათგანი იყო ფონური ნაგებობა – დ. აბაშიძის ქ.№17.

ირგვლივ არქიტექტურულ ძეგლად აღრიცხულია:

ელექტროტრანსპორმატორი – დ. აბაშიძის ქ.№10;
კოშკურიანი შენობა – დ. აბაშიძის ქ.№10;
საცხოვრებელი სახლი – კ. მარჯანიშვილის ქ.№5;

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2007 წლის 01 ოქტომბრის № 3/181 ბრძანების დანართი №1

რუკა შედგენილია თბილისის საერდვნი გეგმის პროგრამის ფარგლებში, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს დაკვეთით, „გეოფრაფიკის“ მიერ, 2007 წ.

თანდართული დოკუმენტაცია.
ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა.

2. განაშენიანების განვითარება

ეს უბანი თბილისის განაშენიანებაში შევიდა XIX ს-ის პირველ ნახევარში. მანამდე აქ, მტკვრის ნაპირზე ორბელიანების (მადათოვის) კუნძულთან (დაახლოებით ქორწინების სახლთან, დღევანდელი მარჯანიშვილის მოედნამდე) არსებობდა სოფლური ტიპის დასახლება **„ახალი სოფელი“** (ვახუშტი ბატონიშვილის რუკა – 1735 წ.). იგი XVIIIს-ის ბოლოდან მოიხსენიებოდა **სოფ. კუკიად**. აქვე მდინარის მარცხენა ნაპირზე გაშენებული იყო ბაღები. **კუკია** მხოლოდ 1824 წ. შეუერთდა თბილისს **ჩუღურეთთან** ერთად.

თბილისის ისტორიულ რუკებზე 1850 წ-დე აქ, ისევე როგორც ჩუღურეთში, მხოლოდ ქაოტური დასახლებაა გამოსახული. ამავე დროიდან თანდათან დაიწყო ამ უბნის ინტენსიური განაშენიანება. XIX ს-ის თბილისის რუკებზე ჩანს ამ უბნის ქუჩათა ქსელის განვითარება, სადაც აღმაშენებლის, ყოფილი მიხეილის, შემდეგ პლეხანოვის პროსპექტი, მთავარ ღერძს წარმოადგენდა. მარჯანიშვილის მოედნამდე ქუჩები განვითარდა სოფ. კუკიის განაშენიანების ქარგაზე, ამიტომ ქუჩები აქ ვიწროა. მოედნის შემდეგ კი დაკვალულია ქუჩათა მოწესრიგებული ქსელი.

1853 წლიდან **სოფ. კუკიაზე** გავრცელდა საქალაქო განაშენიანების წესები. განაშენიანება უნდა გაჰყოლოდა ქუჩების პერიმეტრებს, ხოლო შიდა კვარტლებში ბაღები და გამწვანება ხელუხლებელი დარჩენილიყო.

თბილისის 1867 წ-ის რუკაზე აქ მტკვრის მარცხენა ნაპირზე უკვე ჩანს პარალელური და მათი გადამკვეთი ქუჩების რეგულარული განაშენიანების ჩანასახი.

ამ უბნის ინტენსიური განაშენიანება დაიწყო XIXს–ის II ნახევარში, როდესაც **დავით აღმაშენებლის** დღევანდელი (ყოფილი მიხეილის, შემდეგ პლეხანოვის) პროსპექტიდან დაიკვალა პარალელური და პერპენდიკულარული ქუჩები.

უბნის განაშენიანება განსაკუთრებით დაჩქარდა XIXს-ის 80-იანი წლებიდან, კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარებასთან ერთად. ამ ვითარებას ხელი შეუწყო აგრეთვე მიხეილის და ვერის ხიდების აგებამაც, რის შემდეგაც კუკია უშუალოდ დაუკავშირდა თბილისის ცენტრს. იმავე დროს მოეწყო მტკვრის სანაპირო ნიკოლოზის და ვერეს ხიდებთან – ყოფილი ვორონცოვის და გიმნაზიის სანაპიროები. მათ შორის არსებული მტკვრის ნაპირი კი საკმაო ხნის მანძილზე მოუწყობელი რჩებოდა და ქუჩა სანაპიროზე მხოლოდ XXს-ის დასაწყისში გაიყვანეს.

XIXს-ის დასასრულს დიდი მთავრის (უზნაძის) და მტკვრის მარცხენა სანაპიროს შორის არსებობდა ფონის შესახვევი. შესახვევი მთავრდებოდა მტკვართან სადაც მოწყობილი იყო საბორნე გადასასვლელი. ამ შესახვევის კუთხეში მტკვრის პირას ჯერ კიდევ 1867 წლის გეგმაზე ჩანს ნაგებობები, დანარჩენი ტერიტორია კი გამწვანებული იყო. თბილისის 1885 წლის საკადასტრო გეგმაზე მონიშნულია ნაკვეთი №8, რომელიც აღნიშნულია როგორც მამული. 1897 წლის გეგმაზე კი აღნიშნულია, როგორც გონებაწართმეულთა საგუბერნიო საავადმყოფო. შესახვევის მარჯვენა მხარეს კი, 1905-07 წლებში აშენდა თბილისის ელექტროსადგური.



თბილისის გეგმა, 1867წ.



თბილისის საკადასტრო გეგმა, 1897წ.



საბორნე გადასასვლელი და ფონის შესახვ. 1880-იანი წწ.



იგივე ადგილი, 1905-1907წწ.

თანდართული დოკუმენტაცია.
ისტორიულ-არქიტექტურული ხვრევა.



თბილისის გეგმა, 1902წ.



თბილისის გეგმა, 1907წ.

როგორც საარქივო მასალებიდან ჩანს, თავდაპირველად აშენდა მოზრდილი ორქანობიანი შენობა, დროთა განმავლობაში, ხდებოდა ახალი ნაგებობების დამატება და მოდიფიცირება. აქვე აშენდა საავადმყოფოს თანამშრომელთა საცხოვრებელი სახლი. ეს გარემოება ასახულია თბილისის ისტორიულ გეგმებზე და საარქივო ფოტოებზე.

ქვედა საარქივო ფოტოზე საავადმყოს შენობა უკეთ ჩანს. ეს იყო რთული გეგმარების მქონე სტრუქტურა მტკვრისკენ მიმართული წაგრძელებული ორქანობიანი ორსართულიანი ფრონტონიანი ნაგებობით და ცალქანობიანი მინაშენებით ჩრდილოეთ და სამხრეთ მხრიდან.



საავადმყოფოს კომპლექსი დასრულების შემდეგ, 1910-ნი წწ.

1913 წლის გეგმაზე იგივე მდგომარეობაა ასახული და უკვე აშენებულია თბილისის ელექტროსადგურიც შესახვევის სამხრეთ მხარეს.



თბილისის გეგმა, 1913წ.



თბილისის გეგმა, 1924წ.



თბილისის გეგმა, 1936წ.

ანალოგიური მდგომარეობა ჩანს 1924 და 1936 წლის თბილისის გეგმებზე. აქ ნაგებობების ირგვლივ კვლავ განწვანებული ტერიტორიაა. 1936 წლის გეგმაზე კი, უკვე გამოსახულია L–ის გეგმის მქონე საცხოვრებელი სახლი ტერიტორიის ზედა მარცხენა კუთხეში. და ჩანს მისი გეგმარებაც.



1940-იანი წწ.

XX ს-ის შუა წლებში დაიწყო მტკვრის სანაპიროების მოწყობა. 1940-იანი წლების ფოტოზე ჩანს საავადმყოფოს შენობები. ფოტო ბუნდოვანია, თუმცა კომპლექსის სტრუქტურა კარგად გაირჩევა. 1939 წელს მარჯანიშვილის ქუჩის დასაწყისში (№5) აიგო ნეოკლასიკური სტილის ნაგებობა „წიგნის სასახლე“ – არქიტექტორები: ნ. ბარათაშვილი და ნ. მიქაელიანი. შემდეგ, აშენდა სტალინური არქიტექტურის მასიური საცხოვრებელი სახლები. ოდნავ გვიან კი ახალი საცხოვრებელი კორპუსი ქორწინების სახლით, 1960-იანი წლების არქიტექტურული ესთეტიკით. სადაც პოსტკონსტრუქტივისტული იერი შეხამებულია სტალინური არქიტექტურის ფსევდოკლასიცისტურ ფორმებთან, რაც გახდა ამ დროის სტილის საფუძველი. ამ მშენებლობით პრაქტიკულად დასრულდა ამ ურბანული მონაკვეთის განაშენიანება.

თანდართული დოკუმენტაცია.
ისტორიულ-არქიტექტურული ნაწილი.



1976-77წწ.

1970-იანი წლების ფოტოზე თბილისის ფსიქიატრიული საავადმყოფოს კომპლექსი უკვე საბოლოო სახით არის წარმოდგენილი. შეცვლილია კომპლექსის გეგმარება, მოწესრიგებულია გამწვანებაც სკვერის სახით და ბილიკებით. აქ უკვე განთავსებულია ნარკოლოგიური დისპანსერიც.

1970-იანი წლების ტოპოგეგმაზე ჩანს საავადმყოფოს ნაგებობის და გამწვანების ტერიტორიის გეგმარება. ნაგებობათა ნაწილი ამ დროისთვის უკვე გადაკეთებულია და დაკარგული აქვს თავდაპირველი სახე, როგორც გეგმარებითი, ასევე მხატვრულ-არქიტექტურული თვალსაზრისით. ეს გარემოება კარგად ჩანს ასევე 2000-იანი წლების ფოტოებზეც. 2010 წლისთვის ამ ნაგებობათა დიდი ნაწილი აღებული იქნა.



ტოპოგეგმა 1970–იანი წწ.



საკადასტრო გეგმა 2000–იანი წწ.

3. ტერიტორიის და ნაგებობათა აღწერა



მტკვრის მარცხენა სანაპირო, დ. აბაშიძის ქუჩა, 2014წ.

კვარტალი რომელშიც განლაგებულია საპროექტო ადგილი მოსწორებულ ადგილზეა განვითარებული დ. აბაშიძის ვიწრო ჩიხსა და მტკვრის მარცხენა სანაპიროს შორის. აქ XIXს-ის II ნახევარში აშენდა მიხეილის საავადმყოფოს ფსიქიატრიული განყოფილების შენობათა კომპლექსი.



აეროფოტო, 2014წ.

თანდართული დოკუმენტაცია.
ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა.



ხედი მტკვრის მარჯვენა სანაპიროდან, 2016წ.



ხედი ჩრდილოეთიდან, 2007წ.



ხედი სანაპიროდან, 2016წ.

სანაპიროსკენ არსებული შენობების დანგრევის შემდეგ ნაკვეთის მთელ გაყოლებაზე მოეწყო ბეტონის კედელი. ნაგებობები შემორჩა მხოლოდ ნაკვეთის ჩრდილოეთ ნაწილში, დ. აბაშიძის ქუჩის ჩიხისკენ. აღებულია ასევე შენობა რომელიც გამოდიოდა დ. აბაშიძის ქუჩაზე ელექტროსადგურის მოპირდაპირე მხარეს. ტერიტორიაზე შესასვლელი ვიწრო ჩიხიდანაა, ლითონის მარტივი ჭიშკარით საიდანაც შედის სამანქანო გზა შიდა კვარტალისაკენ. იქვე დგას სატრანფორმატორო ჯიხური და მცირე ერთსართულიანი სახლი. ჩიხისა და აბაშიძის ქუჩისკენ ტერიტორია შეფიცრულია.


ხედი სანაპიროსა და დ. აბაშიძის ქუჩის კუთხიდან, 2016წ.


ხედი და დ. აბაშიძის ქუჩიდან, 2016წ.


ხედი გამწვანებულ ტერიტორიაზე აღმოსავლეთიდან, 2016წ.

ტერიტორიაზე შემორჩენილია მრავალწლოვანი ხეები, რომლებიც აქ ადრე არსებული გამწვანების ნაწილია და ასევე მოწესრიგებული სკვერად იყო საავადმყოფოს არსებობის დროს.



თანდართული დოკუმენტაცია.
ისტორიულ-არქიტექტურული ხვრევა.



დებრადირებული სკვერი, 2016წ.



ორსართულიანი ნაგებობა, ხედი სამხრეთიდან 2016წ.



ერთადერთი მოზრდილი ნაგებობა, რომელიც შემორჩა ტერიტორიის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში L–ს ფორმის ორსართულიანი საცხოვრებელი სახლია, თბილისური გალერეა-აივნებიანი სისტემით შიდა ეზოს მხარეს და აგურის მარტივი შეულესავი ფასადით წინა მხრიდან. სახლს აქვს რამდენიმე გვიანდელი უსახო მინაშენი და დაზიანებულია. საპროექტო ტერიტორიაზე დგას კიდევ რამდენიმე ერთსართულიანი ნაგებობა რომლებიც არ გამოირჩევიან რაიმე არქიტექტურული ღირებულებით. ყველა ეს ნაგებობა მიტოვებულია და დეგრადირებული. არავითარი ღირებულება არ გააჩნიათ ასევე ამ ნაგებობათა ინტერიერებს.





ერთსართულიანი დებრადირებული ნაგებობა ტერიტორიაზე, 2016წ





ერთსართულიანი ნაგებობა ტერიტორიაზე, 2016წ



ერთსართულიანი ნაგებობა ტერიტორიაზე, 2016წ



ერთსართულიანი ნაგებობა ტერიტორიაზე დ. აბაშიძის ქუჩიდან, 2016წ

თანდართული დოკუმენტაცია.
ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა.



ხედი საცხოვრებელი სახლის წინიდან, 2016წ



საცხოვრებელი სახლი, №39



ხედი უ. ჩხეიძის ქუჩის დაღმართიდან, სანაპიროდან, 2016წ



ხედი, სანაპიროდან, 2016წ



ტოპოგეგმა

1. ორსართულიანი სახლი (განძრახულია დემონტაჟი);
2. ორსართულიანი მინაშენი (განძრახულია დემონტაჟი);
3. ერთსართულიანი ავტოფარეხი;
4. ერთსართულიანი ავტოფარეხი
5. ერთსართულიანი სახლი (განძრახულია დემონტაჟი);
6. ელექტროტრანსფორმატორი (განძრახულია დემონტაჟი);
7. ერთსართულიანი ნაგებობა (განძრახულია დემონტაჟი);
8. სკვერი;
9. ნარკოლოგიური დისპანსერის დანგრეული შენობის ადგილი;
10. საავადმყოფოს დანგრეული შენობების ადგილი;
11. მეზობელი ნაგებობა, საცხოვრებელი სახლი, უ. ჩხეიძის №33;

თანდართული დოკუმენტაცია.
ისტორიულ-არქიტექტურული ხვრევა.

ნაგებობები საპროექტო ტერიტორიის ირგვლივ



მოცულობითი გებმა 2000–იანი წწ.



საცხოვრებელი სახლი №33



ელექტროსადგურის შენობა

საპროექტო ტერიტორიის გვერდზე **ექვსსართულიანი მოზრდილი საცხოვრებელი სახლია №33**. იგი უ. ჩხეიძის ქუჩის პერიმეტრიდან ოდნავ უკანაა დაწეული და ე.წ. „სტალინური არქიტექტურული სტილის“ რემინისცენციით არის აგებული და მის ადრეულ პროტოტიპებისგან განსხვავებით ოდნავ გამარტივებული საფასადო სახით არის დაპროექტებული. მხატვრული სახის განმსაზღვრელია მართკუთხა სარკმლების რიგები, სადაც თითოს გამოტოვებით ლითონის კიდული აივნებია დასმული. საფასადო სიბრტყის დანაწილებისათვის პროექტის ავტორებმა მასიური საფასადო სიბრტყე ძლიერი ლავგარდანით გამიჯნეს ზედა ორი სართულისგან. ლავგარდანი დააგეგმილეს გვერდით მდგომ „წიგნის სასახლის“ შენობის პარაპეტის სასიმაღლო დონეზე და შექმნეს თარაზული აქცენტი.

საპროექტო ტერიტორიის სამხრეთით **ელექტროსადგურის კომპლექსია, რომლის ბირთვს წარმოადგენს სამრეწველო არქიტექტურის ძეგლი.** ორქანობიანი წაგრძელებეული შენობაა. იგი მთლიანად „რუსული“ აგურით

არის აგებული. ეს არის ფსევდო-კლასიცისტური სტილის ნაგებობა ფრონტონით, მძლავრი ანტაბლემენტით და პროფილირებული პილასტრებით.

დასკვნა და რეკომენდაციები

ამგვარად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ უბანის არქიტექტურული სახე საპროექტო ტერიტორიაზე შექმნილი იყო ყოფილი გამწვანებული ბაღების ტერიტორიაზე, ერთი ეპოქისა და სტილის და სხვადასხვა მასშტაბის ნაგებობათა ერთობლივობით. აქ ძირითადია XIXს-ის დასასრულის და XXს-ის I ნახევრის არქიტექტურული ესთეტიკა იყო წანყვანი. საპროექტო ტერიტორიის ირგვლივ კი XIX-XXსს-ის პირველი ნახევრის არქიტექტურული ნაგებობებია, რომელთა შორის რამდენიმე არქიტექტურული ძეგლია.

მეზობელ ნაგებობათა შორის ყველაზე მასშტაბური შენობა – ყოფ. წიგნის პალატა და ექვსსართულიანი საცხოვრებელი სახლია „სტალინური არქიტექტურის“ ესთეტიკით. ასევე დ. აბაშიძის ჩიხის მოპირდაპირე მხარეს რამდენიმე სხვადასხვა ზომის უსტატუსო საცხოვრებელი სახლია აგებული.

საპროექტო ტერიტორიაზე მდგომი ნაგებობებიც უსტატუსოა. თუმცა მათ შორის გარკვეული მხატვრულ-არქიტექტურული ღირებულებით გამოირჩევოდა ამჟამად დანგრეული ნარკოლოგიური ცენტრის და სანაპიროსკენ გამომავალი ფრონტონიანი შენობები თავისი ეპოქისათვის დამახასიათებელი სახასიათო არქიტექტურული ნიშნებით. ტერიტორიის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში ამჟამად არსებული შენობები თავისთავად ნაკლებად ღირებულია მხატვრულ-არქიტექტურული თვალსაზრისით, თუმცა ერთ კომპლექსად არსებობისას კარგად იყო მორგებული ერთმანეთზე და უბნის ურბანული სტრუქტურის ევოლუციური განვითარების ერთ-ერთ საინტერესო მაგალითს წარმოადგენდა.

ამ ორსართულიანი სახლის დემონტაჟი კანონით არ არის აკრძალული შესაბამისი პროცედურების დაცვით. თუმცა ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია, რომ განისაზღვროს თუ რა უნდა დაპროექტდეს ამ ნაგებობების ნაცვლად და ახალი ფუნქციის შესაბამისად, როგორი სტრუქტურისა და მხატვრულ-ატქიტექტურული სახის მოცულობები უნდა აშენდეს. ასევე სასურველია ამ ნაგებობათა სტრუქტურისა და მხატვრულ-არქიტექტურული მახასიათებლების მსუბუქი რემინისცენციური ასახვა ახალი მოცულობების დაპროექტებისას.

კომპლექსის დანარჩენ წვრილ და დეგრადირებულ ნაგებობებს მხატვრულ-არქიტექტურული თვალსაზრისით არავითარი ღირებულება არ გააჩნია და მათი დემონტაჟი სათანადო ღონისძიებებით შესაძლებელი ჩანს.

გასათვალისწინებელია ურბანული გარემო საპროექტო ტერიტორიის ირგვლივ. აქ, ერთმანეთის გვერდი-გვერდაა ორი განსხვავებული არქიტექტურული ესთეტიკა – ძველი, XIX-XX სს-ის დასაწყისის (ყოფილი ელექტროსადგურის კომპლექსი) და ახალი, XXს-ის შუა პერიოდის და დასასრულის განაშენიანება (XXს-ის შუა პერიოდისაა წიგნის სახლი მარჯანიშვილის ქუჩაზე და საცხოვრებელი სახლი საპროექტო ტერიტორიის ჩრდილოეთით), რაც მნიშვნელოვან აქცენტს ქმნის და განსაზღვრულ ორიენტირად გვევლინება სანაპიროს განაშენიანებაში. უკან უზნაძის ქუჩისკენ ჩიხის გადაღმა ნაკლებად ღირებული სახლებია. აქვე ყურადსაღებია ოდნავ მოშორებით, ვაჟთა II გიმნაზიის კომპლექსი (დღეს განათლების სამინისტროს შენობა) და ზოგადად მტკვრის მარცხენა სანაპიროს „სტალინური არქიტექტურის“ სტილის განაშენიანება.

პირველ რიგში მნიშვნელოვანია, რომ მაგალითად არ ვაღიაროთ მარჯანიშვილის ქუჩისკენ არსებული უსახო არქიტექტურა და მასზე არ

თანდართული დოკუმენტაცია.
ისტორიულ-არქიტექტურული ხვლევა.

გავსწორდეთ. აქ უკვე ისედაც საკმარისადაა საბჭოთა ქალაქების გარეუბნებისთვის დამახასიათებელი მარტივი კონსტრუქციები.

კონცეფციურად ამ უბნისთვის უპრიანი იქნება მხედველობაში გვქონდეს XXს-ის II ნახევრის ხარისხიანი არქიტექტურის ნიმუშები. მითუმეტეს უბნის პრესტიჟულობა და გამორჩეული ადგილმდებარეობა საშუალებას იძლევა, რომ აქ პროექტირებისას აუცილებლად იქნეს გათვალისწინებული ნაგებობათა არქიტექტურული სახის და მშენებლობის მაღალი ხარისხი.

ახალ ნაგებობათა ახალი ფინქციური დანიშნულების შესაბამისად ზოგადი გადაგეგმარება შესაძლებელი ჩანს, ოღონდ სასურველია, რომ გათვალისწინებული იყოს თავდაპირველი გეგმარებითი სტრუქტურის ხასიათი და პროექტირება წარიმართოს სტრუქტურის თავდაპირველი ზოგადი კონტექსტის გათვალისწინებით. **მნიშვნელოვანია, რომ არ შემცირდეს მწვანე საფარი. ამ მიმართულებით ჩვენ ისედაც ბევრი „დავაშავეთ“ როდესაც ე.წ. „თბილისის კლონიის“ გამწვანებული ტერიტორიებიდან ნახევარზე მეტი განაშენიანებით „ამოვავსეთ“. უკიდურესი გამონაკლისის გარდა გასაფრთხილებელია თითო ხეც კი. ეს არ არის მხოლოდ ეკოლოგიური პრობლემა. გამწვანებული ლანდშაფტი ამ ურბანული განაშენიანების მნიშვნელოვანი ისტორიულ-არქიტექტურული კომპონენტია. ამასთან სასურველია დავიცვათ შემდეგი რეკომენდაციები:**

გადაწყვეტილი უნდა იყოს ახალ ნაგებობათა ფუნქცია. განსასაზღვრი იქნება არა მხოლოდ ნაგებობათა მხატვრულ-არქიტექტურული სახე, არამედ მთელი ამ კომპლექსის მოცულობითი სტრუქტურის მხატვრული თავსებადობა ირგვლივ არსებულ განაშენიანებასთან და ზოგადად უბნის არქიტექტურულ სახესთან; სართულიანობის შესაბამისობა ისტორიულ განაშენიანებასთან (სასურველია სასიმაღლო დონეების ერთგვარი არითმიულობა); გადახურვათა ფორმები და კომპლექსის თავსებადობა უბნის ზედხედში;

ამასთან სასურველია რიგი გეგმარებითი და მხატვრული სახის რეკომენდაციების გათვალისწინება:

- უბნის თითქმის ყველა ნაგებობა და მათ შორის დიდი შენობებიც მოცული იყო შესაბამისი მასშტაბის გამწვანებული არეებით, რაც უბნის განაშენიანების ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელია. მით უმეტეს აქ ყველა ნაგებობა გამწვანებულ ტერიტორიებსა და ბაღების ადგილზეა აგებული;

- ამიტომ არ უნდა მოხდეს რელიეფის სრულად გადაფარვა და მნიშვნელოვანი ფორმით არის შესანარჩუნებელი გამწვანებული არეების სისტემა;

- ახალი მოცულობების ზოგადი სტრუქტურა, ფასადების მხატვრული სახე, საფასდე სიბრტყეებისა და ღიობების რიტმული დანაწევრება და ფერადოვნება არ უნდა არღვევდეს ზოგადად ამ უბნის ღირებული განაშენიანების ჩამოყალიბებულ ხასიათსა და მხატვრულ მთლიანობას. უპირატესობა უნდა მიენიჭოს ტრადიციული სამშენებლო მასალის გამოყენებას და ნეიტრალურ „ჩამქრალ“ ფერებს;

- უბნის განვითარებასთან ერთად მოსალოდნელია ავტომანქანების რაოდენობის გაზრდა, რაც უფრო დაამძიმებს პარკირებასთან დაკავშირებულ პრობლემებს. ამ საკითხს უნდა მიექცეს ჯეროვანი ყურადღება, იგი უნდა წარიმართოს მიწის ზედაპირის მინიმალური ფართის გამოყენების გზით. მაქსიმალურად გამოყენებულ იქნას მიწისქვეშა პარკირების შესაძლებლობა;

- შესაძლებელი ჩანს ოდნავ მოზრდილი ნაგებობების დაპროექტება დანგრეული შენობების ადგილზე. ასევე შესაძლებელი ჩანს პერიმეტრის ნაწილობრივი შევსება სანაპიროს გაყოლებით, ოღონდ არა მასიური „ფარდის“ შექმნით, არამად სტრუქტურულად გადანაწილებული მოცულობებით, როგორც ეს იყო დამახასიათებელი აქ არსებული განაშენიანებისათვის;

- ამიტომ, სასურველია, რომ ანგარიში გაეწიოს უ. ჩხეიძის ქუჩაზე გამომავალ ექვსართულიან საცხოვრებელ სახლს და ახალი მოცულობა არ „გადაებას“ მას და მათ შორის დარჩეს „სასუნთქი სივრცე“.

- სასურველია ფოტომონტაჟის წარმოდგენა ცალკეული ნაგებობების ფასადებისა და საერთო განშლებთან ერთად, ახალმშენებლობის მთელი კომპლექსის ჩვენებით ირგვლივ არსებული განაშენიანების ფონზე, ზედხედიდან. რათა კარგად გამოჩნდეს ახალი მოცულობების თავსებადობა უბნის არსებულ განაშენიანებაში;

- ასევე აუცილებლად იქნება გასათვალისწინებელი მშენებლობის მაღალი ხარისხიც;

ვფიქრობთ, რომ ყოველივე ამის გათვალისწინების შემთხვევაში უბანს შეუნარჩუნდება თვითმყოფადი არქიტექტურული სახე, რაც მოგვცემს ევოლუციური განვითარების საშუალებას.



ხელოვნებათმცოდნე — ია ჭანიშვილი
29. 06. 2016